საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1070
2025 წლის 29 აპრილი

ქ. თბილისი

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040150000.22.027.016225) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების №2 დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-60 გრაფა:

„

60	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	87

“.

2. ბრძანების №3 დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული:

ა) 27-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

27	საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი	037

“;

ბ) 69-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 70-ე და 71-ე გრაფები:

„

70	საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი	101
71	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს თავმჯდომარე	102

“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**